პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Совьетов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 37-ე წელი
№ 136 (10530)

ოთხშაბათი, 13 ივნისი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

საბინაო მშენებლობის განვითარებას — მეტი ყურადღება

ქოსახლეობის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის განუხრელი ამაღლების უზრუნველყოფად, როგორც ცნობილია, პარტიის XX ყრილობამ ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანად დასახა მშრომელთა საბინაო პირობების ძირეულად გაუმჯობესება და გადაწყვიტა მეექვსე ხუთწლედში გეგმით გამოყოფილი სახელმწიფო სახსრებით აშენდეს დაახლოებით 205 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ე. ი. ერთიორად მეტი მეხუთე ხუთწლედთან შედარებით.

ყრილობისშემდგომ თვეებში საბინაო მშენებლობის მასშტაბი საგრძნობლად გაფართოვდა. ამჟამად საბჭოთა კავშირში შენდება 29 მილიონამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის შემცველი სახლები. დიდად გაფართოვდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ჩვენს რესპუბლიკაშიც.

მაგრამ ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობა ჯერ კიდევ ჩამორჩება სახალხო მეურნეობის განვითარებას, ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ზრდას. ბევრი რესპუბლიკური სამშენებლო ორგანიზაცია ვერ ასრულებს საბინაო მშენებლობის გეგმებს, ვხვდებთ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გაჭიანურებას, სამშენებლო სამუშაოთა დაუდევრად შესრულებას, ღირებულების ზრდას, არ იგრძნობა ქმედითი ბრძოლა ყველა ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად.

საბინაო მშენებლობის ხელმძღვანელობის დარგში დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ არ ხდება ძალებისა და მატერიალური რესურსების კონცენტრაცია იმ ობიექტების დასამთავრებლად, რომლებიც გეგმის მიხედვით პირველ რიგში უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ. ეს მატერიალური რესურსები გაბნეულია მრავალ სამშენებლო ობიექტზე, ამის შედეგად მშენებლობის ტემპი ნელდება და საბინაო ფონდის ზრდის გეგმა იფუშება. მაგალითად, საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით გასულ წელს რესპუბლიკის საბინაო ფონდს უნდა შემატებოდა 29.118 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ფაქტიურად გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 52,5 პროცენტით. იმავე სამინისტროს სისტემის სამშენებლო ორგანიზაციებს რესპუბლიკაში უნდა აეშენებინათ 63.850 კვადრატული მეტრი საერთო ფართობის მრავალი ადმინისტრაციული შენობა. ნამდვილად კი ააშენეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს 4.340 კვადრატული მეტრი, რაც დავალების 6,8 პროცენტს შეადგენს.

წელს ეს მდგომარეობა არა თუ არ შეცვლილა, კიდევ უფრო გაფრთხილდა. მშენებლებთან და მათს ხელმძღვანელებთან ერთად ამაში ბრალი მიუძღვით დამკვეთ ორგანიზაციებს, იმ საწარმოებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, რომლებმაც თავიანთი როლი საბინაო მშენებლობაში მშენებლებთან ხელშეკრულებების დადებით განსაზღვრეს და მშენებლობის მიმდინარეობის ბედით რაიმე დაინტერესებას არ იჩენენ.

უკვე ორი თვეა, რაც თბილისში მარცხენა სანაპირო ქუჩაზე მშენებლები შეუდგნენ 190-ბინიანი საცხოვრებელი სახლის აგებას, რომელიც ქალაქის საბჭოს დაკვეთით შენდება. მაგრამ დამკვეთ მხარეს არავითარი ღონისძიება არ მიუღია იმისათვის, რომ ეს მშენებლობა სწრაფი ტემპით განვითარებულიყო. მშენებლები კი, რომლებსაც მშენებლობის დასაწყებად არავითარი საპროექტო დოკუმენტაცია და სამუშაო ნახაზები არ მიუღიათ, იძულებული გახდნენ შენობის საფუძვლებისათვის მიწის სამუშაოთა შესრულებისთანავე მუშაობა შეეჩერებინათ.

საპროექტო დოკუმენტაციით მშენებლების დროულად მომარაგების საქმეში მეტი დაინტერესება უნდა გამოიჩინონ სამეურნეო ორგანიზაციებმა. თბილისის პირველ საერთო-სამშენებლო ტრესტს, რომელსაც მინდობილი აქვს დიდი საცხოვრებელი სახლების აგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, კავშირგაბმულობის რესპუბლიკური სამინისტროს, თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების მუშა-მოსამსახურეთათვის, ამ სახლების მშენებლობის დასაწყებად ჯერ არც ერთი ნახაზი არა აქვს და მუშაობაც არ დაუწყია.

მეორე მთავარი შეფერხება, რომელსაც მშენებლები საკუთარი ძალებით ვერ დაძლევენ, არის სამშენებლო ობიექტების ცუდი მომარაგება საშენი მასალებით, კერძოდ ცემენტისა და ბეტონის ასაწყობი კონსტრუქციებით, დიდი ბლოკებითა და ინდუსტრიული წესით დამზადებული დეტალებით.

საჭიროა გადაწყდეს საქართველოს ბინათმშენებლებისათვის ყველაზე მტკივნეული საკითხი: უზრუნველყოფილ იქნას ფართოდ გაჩაღებული საბინაო მშენებლობა სათანადო მასშტაბის ინდუსტრიული ბაზით. უმართებულო იქნება მშენებლებს მოვთხოვოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შესრულება, მაშინ როდესაც მათ სათანადო რაოდენობით ვერ ვაწვდით საშენ მასალებს. საჭიროა საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ ამთავითვე გადადგას ნაბიჯები იმისათვის, რომ საქართველოში გვექნეს მძლავრი სამშენებლო ინდუსტრია, რომელიც თავისი პროდუქციით დააკმაყოფილებს მშენებელთა მზარდ მოთხოვნილებას.

არ შეიძლება ამასთან არ აღინიშნოს ის დაუდევრობაც, რომელსაც ზოგი სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი იჩენს მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის განხორციელების საქმეში. ამის მაგალითები მრავალია: თბილისის პირველი საერთო-სამშენებლო ტრესტის მეორე სამშენებლო სამმართველოს უფროსის ინჟინერ ბ. ჩიგოგიძის ხელმოწერით ამავე ტრესტის საშენი დეტალების დამამზადებელ ქარხანას ამას წინათ შეუკვეთეს დეტალების დამზადება შეუმოწმებელი ნახაზებით, რაც დაუშვებელია. ამ დაკვეთის შესაბამისად ქარხანაში დამზადებული დეტალი შენობას არ მოერგო და საჭირო შეიქნა მის მოსარგებად დამატებითი შრომის გაწევა, რამაც გამოიწვია ნაგებობის დამთავრების გახანგრძლივება და დამატებითი ხარჯების გაწევა.

ჯერ კიდევ არ აღმოიფხვრა დაუმთავრებელ სახლებში მობინადრეთა შესახლების შემთხვევები, სათანადო ყურადღება არ ექცევა სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებას. დაუმთავრებელ სახლებში მობინადრეთა შესახლების შემთხვევები ხშირია თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, რუსთავში, რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში.

საჭიროა მშენებლებს შევუქმნათ ყველა პირობა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, დროულად მოვამარაგოთ ისინი საპროექტო დოკუმენტებით, საშენი მასალებით, დავაწესოთ მტკიცე კონტროლი მათს მუშაობაზე და მოვთხოვოთ მშენებლობის სწრაფად, მაღალხარისხოვნად წარმოება, სამშენებლო სამუშაოთა ღირებულების შემცირება.

მეტი ყურადღება საბინაო მშენებლობის დარგში პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლის გაძლიერებას!

კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო იემენის მემკვიდრე პრინცი სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრი

12 ივნისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო მოსკოვში მყოფი იემენის მემკვიდრე პრინცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრი და საუბარი ჰქონდა მასთან.

მემკვიდრე პრინც სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრს ახლდნენ იემენის ფინანსთა მინისტრი ელ-ყადი აბდურაჰმან ელ-საიალი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და სახელმწიფო მინისტრი ელ-ყადი მოჰამედ ელ-ამრი, იემენის მთავრობის პოლიტიკური მრჩეველი დოქტორი ჰასან ბაღდადი, სავაჭრო მრჩეველი შეიხი ალი ელ-ჯაბალი, აგრეთვე მემკვიდრე პრინცთან ერთად ჩამოსული სხვა პირები.

გამართულ საუბარში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გადასცეს ნორვეგიის მეფეს ჰოკონ VII მისი პირადი სამდივნოს მასალები, აღმოჩენილი გერმანიის საარქივო ფონდებში, რომლებიც სსრ კავშირში შემოტანილ იქნა როგორც საბჭოთა არმიის ნადავლი.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო, ნ. ს. ხრუშჩოვი და ა. ი. მიქოიანი სტალინგრადში

სტალინგრადი, 11 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). აქ ჩამოსულმა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ მეუღლითურთ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა, საკავშირო აღმასრულებელი ვენეს თავმჯდომარის მოადგილემ ე. კარდელმა მეუღლითურთ და მათმა თანმხლებმა პირებმა დღეს იმგზავრეს გემ „ალექსანდრე პოლეჟაევით“. ისინი იყვნენ იქ, სადაც ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის სათავეა.

გზაში ნ. ს. ხრუშჩოვი და საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ი. ერემენკო პრეზიდენტ ტიტოს უამბობდნენ ქალაქისათვის გმირულ ბრძოლაზე ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ 1942-43 წლებში.

ვოლგა-დონის არხზე პრეზიდენტ ტიტოს აინტერესებდა ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, არხის სიგრძე. სტალინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. კ. ეგგალინმა სტუმრებს უამბო ვოლგა-დონის სისტემის სარწყავ მიწებზე.

შემდეგ სტუმრები ვოლგით გაემართნენ სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. ჰიდროკვანძის გიგანტურ ქვაბულთან, სადაც გემი „ალექსანდრე პოლეჟაევი“ მივიდა, იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეთა შესახვედრად შეიკრიბა ათასობით ჰიდრომშენებელი.

სტუმრები მიდიან მიწის მაღალ ჯებირთან, რომელიც სამშენებლო მოედანს იცავს ვოლგის წყლისაგან. აქედან მოჩანს ჰიდროკვანძის დიდებული პანორამა — ჰიდროელექტროსადგურის მზარდი შენობის, წყალსაშვები კაშხალის, რაბის ბეტონი და არმატურა.

სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის უფროსმა ა. ალექსანდროვმა სტუმრებს გააცნო სამუშაოები, რომლებიც ახლა წარმოებს სამშენებლო მოედანზე, ილაპარაკა ადამიანებზე, რომლებიც ამ მძლავრ ჰიდროკვანძს აშენებენ.

ამხანაგ ტიტოს აინტერესებს ტექნიკა, რომლითაც აღჭურვილი არიან სტალინგრადელი ჰიდრომშენებლები. შემდეგ საუბარი შეეხო არქიტექტურულ გაფორმებას. ამხანაგმა ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ ყველაზე უკეთესი მორთულობა იქნება ობიექტების კარგი ინჟინრული გადაწყვეტა. ამხანაგი ტიტო ხუმრობით შენიშნავს: „აქ მთავარია კილოვატები და არა მარმარილო“.

სამშენებლო სამუშაოთა გაქანებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზე. ამხანაგმა ტიტომ მიმართა ინჟინრებს, რომლებიც ახსნა-განმარტებას აძლევდნენ მას და, კერძოდ, უთხრა: „უდიდეს საქმეს აკეთებთ, ამხანაგებო, უდიდეს საქმეს!“.

სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მომავალი რაბის ქვაბულთან მოხდა საბჭოთა და იუგოსლავიის სახელმწიფო მოღვაწეების სასიამოვნო შეხვედრა მშენებელ მუშებთან. იოსიპ ბროზ ტიტო მიესალმა მათ იუგოსლავი ხალხის სახელით და დელეგაციის სახელით. პრეზიდენტმა ტიტომ აღნიშნა მშენებლობის გრანდიოზულობა, საბჭოთა ინჟინრების ჩანაფიქრის სიდიადე. მან ილაპარაკა იმაზე, რომ ამ ჩანაფიქრსა და მის განხორციელებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ იუგოსლავი ხალხისათვის, რომელიც სოციალიზმს აშენებს. ამიტომ, თქვა ამხანაგმა ტიტომ, ჩვენთვის სასიამოვნოა იმის ნახვა, თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკაში ეს ჩანაფიქრი.

პრეზიდენტმა შენიშნა, რომ მუშები მუშაობენ თავიანთთვის, მომავალი თაობებისათვის. მან დიდი წარმატებები უსურვა მშენებლებს და აღუთქვა ჩამოვიდეს მათთან ამ გრანდიოზული ნაგებობის სანახავად, როცა იგი დამთავრდება.

მშენებლები მქუხარე ტაშით მიესალმნენ იოსიპ ბროზ ტიტოს სიტყვებს.

შემდეგ გამოვიდა ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც მშენებლობის მუშები გულთბილად შეხვდნენ.

— ამხანაგებო, — თქვა მან, — ჩვენ ძლიერ გვიხარია, რომ ამხანაგი ტიტო ჩვენთან ჩამოვიდა. გვიხარია, რომ ამხანაგმა ტიტომ აქ ილაპარაკა ამ მშენებლობის გრანდიოზულობასა და საჭიროებაზე და აღგვითქვა ჩამოვიდეს აქ და ნახოს, როცა ამ სადგურის მშენებლობა დამთავრდება. ჩვენ მოხარული ვიქნებით მივიღოთ იგი მის მეგობრებთან ერთად. (ტაში).

ჩვენ მოულოდნელად ჩამოვედით აქ, გმირულ სტალინგრადში, სადაც დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც საბჭოთა ადამიანების სისხლით მორწყული ბრძოლის ველი იყო. საბჭოთა ადამიანები არ დაემორჩილნენ მტერს, გაანადგურეს იგი და დაიცვეს თავიანთი დიდი მონაპოვარი, ისეთი შენენ, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა, — ახალი კომუნისტური საზოგადოება. (ტაში).

საზღვარგარეთ ჯერ კიდევ არ გადაშენებულან [illegible] ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, ხოლო ზოგიერთი კიდევაც ამბობს, ერთიც ვნახოთ, სსრ კავშირში საქმე ისე წავიდეს, რომ შეიძლებოდეს საბჭოთა ხელისუფლება კაპიტალიზმით შეიცვალოსო. შეიძლება ეს თუ არა, ამხანაგებო?! (ერთსულოვანი ხმები: „არა!“, შეძახილები: „ძალა არ ეყოფათ!“, „ეს არასოდეს არ იქნება!“, „დაე თავიანთ საქმეს მოუარონ“). ამაზე ჩვენ ვეუბნებით: ელოდეთ, სანამ კიბო დაუსტვენდეს. (სიცილი, ტაში).

ასე მსჯელობენ გულუბრყვილო ადამიანები, კაპიტალიზმის მონები. კაპიტალისტებს შეუძლიათ მხოლოდ ძალები გამოსწოვონ მუშათა კლასს. როცა ჩვენ დავამხეთ მემამულეთა ძალაუფლება, როცა მუშებმა და გლეხებმა მოიპოვეს თავისუფლება თავისთვის, მთელ ხალხს მოუპოვეს თავისუფლება, კაპიტალისტებსა და მათს დამქაშებს ეს არ ეპიტნავათ.

ჩვენ ვეუბნებით მათ — მოდი ვიცხოვროთ მშვიდობით, ეს კი ნიშნავს თანაარსებობას. ჩვენ მათს საქმეებში არ ჩავერევით. მაგრამ ნურც ისინი ჩაერევიან ჩვენს საქმეებში.

ჩვენ მტკიცედ ვიცლით ჩვენი გზით — დიადი ლენინური გზით. (ხმები: „სწორია“, „მართალია“).

ახლა ყველაზე მდიდარი ქვეყანა მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატები არიან. მაგრამ ხვალ ჩვენ უფრო მდიდარი ვიქნებით. ამისათვის ჩვენ ავაშენებთ ჰიდროელექტროსადგურებს, ატომის ელექტროსადგურებს, წინ წავწევთ მეცნიერებასა და ტექნიკას, რათა მანქანები მუშობდნენ ადამიანის ნაცვლად, რათა ადამიანი გახდეს მბრძანებელი შრომაში, რათა შრომა უფრო ნაყოფიერი იქნეს. ამით შევქმნით კომუნიზმის გამარჯვების პირობებს.

კაპიტალისტები საწარმოებს აშენებენ მოგების მისაღებად, ჩვენ კი ვაშენებთ ჩვენთვის, ხალხისათვის, ვაშენებთ იმისათვის, რომ ადამიანს გავუადვილოთ ცხოვრება. დიდება თქვენ, შრომის გმირებო! (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენ გულახდილად ვამბობთ: გვაქვს სიძნელეები, ჩვენ ეს ვიცით და დავძლევთ მათ ჩვენი ძალებით. კაპიტალისტებს დახმარებას არა ვთხოვთ. მათ ხომ თითი რომ გაუწოდო — ხელს მოგჭამენ. (სიცილი, ტაში).

ბოლშევიკები დიდი ლენინის ხელმძღვანელობით მუშათა კლასსა და ყველა მშრომელს გაუძღვნენ, რევოლუცია მოახდინეს. საბჭოთა კავშირი გაიზარდა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. გაივლის ცოტა ხანი და ჩვენ მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყანა ვიქნებით.

შემდეგ ამხ. ხრუშჩოვმა ილაპარაკა იმაზე, რომ კონფლიქტი, რომელიც საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის არსებობდა, უკან დარჩა. (შეძახილები: „მეგობრულად ვიცხოვროთ!“, „ნუ გავიხსენებთ წარსულს!“).

— აი ჩვენ ჩამოვედით აქ, რათა დავადასტუროთ ჩვენი მზარდი მეგობრობა. იგი საჭიროა საერთო მიზნებისათვის. ჩვენ ერთად განვამტკიცებთ ამ მეგობრობას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობას იუგოსლავიის ხალხებთან! (ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს გმირ მშენებლებს, რომლებიც ახორციელებენ ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის დიად ლენინურ გეგმას. (ხანგრძლივი ტაში. შეძახილები „ვაშა!“).

შემდეგ სტუმრები გაემგზავრნენ ქალაქ ვოლგასკში. მათ გულითადად მიესალმა სტალინგრადელ ჰიდრომშენებელთა ამ ახალგაზრდა ქალაქის ათასობით მცხოვრები.

უკვე საღამოს იოსიპ ბროზ ტიტო, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიქოიანი, ე. კარდელი სტალინგრადში დაბრუნდნენ. მათ კვლავ შეხვდნენ სტალინგრადელები, როგორც ყველაზე სასურველ სტუმრებს.

სტალინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ვ. დინკინმა სადილი გამართა იოსიპ ბროზ ტიტოს, ნ. ს. ხრუშჩოვის, ა. ი. მიქოიანის, ე. კარდელისა და მათი თანმხლები პირების პატივსაცემად. სადილმა განსაკუთრებით გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. წარმოითქვა სიტყვები. იუგოსლავ სტუმრებს გადასცეს სტალინგრადის ხედების ფოტოალბომები, აგრეთვე ერთი ცალი დოკუმენტალური კინოფილმი სტალინგრადის ბრძოლის შესახებ „სტალინგრადი“.

იოსიპ ბროზ ტიტო, ნ. ს. ხრუშჩოვი და ა. ი. მიქოიანი სტალინგრადიდან გამოემგზავრნენ

სტალინგრადი, 11 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს საღამოს სტალინგრადიდან გაემგზავრნენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი და მათი თანმხლები იუგოსლავი და საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეები. სტუმრები ათასობით სტალინგრადელმა გააცილა.

სტალინგრადის ვაგზალში შეიკრიბნენ ქალაქის ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სსრ კავშირის და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები. ბავშვებმა ყვავილთა თაიგულები მიართვეს მიმავალთ.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო გულითადად გამოეთხოვა სტალინგრადელებს და უთხრა მათ:

ძვრფასო ამხანაგებო, ქალაქ სტალინგრადის მოქალაქენო!

ვტოვებ რა ამ ქალაქს, ერთხელ კიდევ დიდად გმადლობთ ჩემი სახელით და მთელი დელეგაციის სახელით თქვენი გულთბილი შეხვედრისათვის, რომელიც აქ ვნახეთ.

ძლიერ ვწუხვართ, რომ აქ ყოფნა მხოლოდ ერთ დღეს გრძელდებოდა. იმედი მაქვს, დადგება დრო, როცა კვლავ ვნახავთ თქვენს ქალაქს და თქვენს შემდგომ წარმატებებს. გისურვებთ ახალ წარმატებებს თქვენს შემოქმედებითს მუშაობასა და მშენებლობაში.

გაუმარჯოს გმირი ქალაქის სტალინგრადის მოქალაქეებს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

ნახვამდის, ძვირფასო ამხანაგებო!

უკანასკნელი მეგობრული ხელისჩამორთმევა, კეთილი მგზავრობის გულთბილი სურვილები. გაისმის მისალმებანი სტუმრების პატივსაცემად, შეძახილები საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობის პატივსაცემად. მატარებელი კრასნოდარისაკენ მიდის.

მოსკოვში ჩამოვიდა იემენის მემკვიდრე პრინცი სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრი

11 ივნისს საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ჩამოვიდა იემენის მემკვიდრე პრინცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი, მისი სამეფო უმაღლესობა ემირი სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრი. ემირ ელ-ბადრთან ერთად ჩამოვიდნენ იემენის ფინანსთა მინისტრი ელ-ყადი აბდურაჰმან ელ-საიალი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და სახელმწიფო მინისტრი ელ-ყადი მოჰამედ ელ-ამრი, იემენის მთავრობის პოლიტიკური მრჩეველი დოქტორი ჰასან ბაღდადი, სავაჭრო მრჩეველი შეიხი ალი ელ-ჯაბალი, მდივანი დოქტორი ისა ნახლია და სხვა თანმხლები პირები.

მოსკოვის ცენტრალურ აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო სსრ კავშირისა და იემენის სახელმწიფო ალმებით, სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. გ. პერეგუდინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. მ. არუშანიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. თ. თევოსიანი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დ. რ. რასულოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი, სსრ კავშირის ევროპული ნაწილისა და ციმბირის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარე მუფთი შ. ხიალიტდინოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე გ. ტ. ზაიცევი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე კ. ა. კოჩეტკოვი, აგრეთვე მოსკოვში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

17 საათზე თვითმფრინავი დაეშვა. იქიდან გამოდის სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრი და ხელს ართმევს ოფიციალურ პირებს, რომლებიც მას ხვდებიან.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შეასრულეს იემენისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

მიკროფონთან სიტყვა წარმოთქვა სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრმა. მან თქვა:

ბატონო მინისტრო! მამაჩემის სახელით, იემენის მთავრობისა და ხალხის და პირადად ჩემი სახელით მივესალმები დიდი საბჭოთა კავშირის ხალხსა და მთავრობას. დიდ მადლობას გამოვთქვამ გულთბილი მიღებისა და იმ მოწვევისათვის, რომლითაც პატივი დამდო საბჭოთა მთავრობამ. ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა პატივი ჩემი ქვეყნის პირველი წარმომადგენელი ვიყო დიდ საბჭოთა კავშირში, იმ ქვეყანაში, რომელსაც დიდი ხანია უდიდესი წვლილი შეაქვს კულტურის საქმეში, ყველა ხალხის ცივილიზაციის საქმეში. ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი აქ ყოფნის დროს მომეცემა შესაძლებლობა. გავეცნო, რა პროგრესს მიაღწია საბჭოთა კავშირმა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. მოუთმენლად ველოდი ამ მოგზაურობას, რათა შესაძლებლობა მქონოდა გავცნობოდი თქვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელებს და კიდევ უფრო განმემტკიცებინა ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის. დიდი ხანია ჩვენი ხალხების ურთიერთობას საფუძვლად უდევს ურთიერთ პატივისცემის, მეგობრობისა და სხვა ქვეყნის საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები.

იემენი, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა ქვეყანასთან, ღრმად დარწმუნებულია, რომ ვიზიტების გაცვლა პირადი კონტაქტის დასამყარებლად სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს შორის და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება ხალხთა მშვიდობის განმტკიცებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების, აგრეთვე ომის თავიდან აცილების მთავარი პირობაა.

ვეგედრები ზენაარ ალაჰს, რომ ჩვენმა ორმა ხალხმა და მთელი მსოფლიოს ხალხებმა ძმური მეგობრობით იცხოვრონ და მხარი დაუჭირონ ერთმანეთს ისეთი სისტემის შექმნაში, რომლის დროსაც აყვავდება მშვიდობა და ვაჭრობა და განხორციელდება ხალხთა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობის უფლება. (საკდესი).

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო იემენის მემკვიდრე პრინცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ემირი სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრი

12 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო იემენის მემკვიდრე პრინცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მისი სამეფო უმაღლესობა ემირი სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრი.

მემკვიდრე პრინცს ახლდნენ იემენის ფინანსთა მინისტრი ელ-ყადი აბდურაჰმან ელ-საიალი, იემენის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და სახელმწიფო მინისტრი ელ-ყადი მოჰამედ ელ-ამრი, იემენის მთავრობის პოლიტიკური მრჩეველი დოქტორი ჰასან ბაღდადი და სავაჭრო მრჩეველი შეიხი ალი ელ-ჯაბალი, აგრეთვე მემკვიდრე პრინცთან ერთად ჩამოსული სხვა პირები.

მეგობრულ საუბარში, რომელიც გაიმართა ნ. ა. ბულგანინსა და მემკვიდრე პრინც სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრს შორის, მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა. (საკდესი).

სადღეისო თემაზე

სერიოზული ყურადღება შაქრის ჭარხალს

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის. ამ დაუღალავი მზრუნველობის კიდევ ერთი განსახიერებაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „შაქრის ჭარხლის წარმოებისა და შაქრის გამომუშავების გადიდების ღონისძიებათა შესახებ".

პარტიამ და მთავრობამ სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე დასახეს პასუხსაგები ამოცანა — უახლოეს წლებში მნიშვნელოვნად გაადიდონ შაქრის ჭარხლის საერთო მოსავალი და 1960 წელს მისი წარმოება საბჭოთა კავშირში აიყვანონ 50 მილიონ ტონამდე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ბევრ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში, რომლებსაც შაქრის ჭარხალი მოჰყავთ, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ ამ უმნიშვნელოვანესი ტექნიკური კულტურის წარმოების განვითარებას. მეტად ნელა ინერგება აგროტექნიკის პროგრესული ხერხები — მცენარეთა კვადრატული განლაგება, ხაზოვანი და გარდიგარდმო დამუშავება; ძლიერ ჩამორჩება შაქრის ჭარხლის მოყვანისა და მოსავლის აღების, აგრეთვე მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლისა და სასუქების შეტანის სამუშაოთა მექანიზაცია.

პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს მეჭარხლეობის მკვეთრი აღმავლობის ერთელი ღონისძიებანი. შაქრის ჭარხლის წარმოების სწრაფი ზრდისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ღონისძიებებს. მიმდინარე წლის მოსავლით დაწვებული შემოღებული იქნება ახალი გადიდებული დასამზადებელი ფასები შაქრის ჭარხალზე. კონტრაქტაციის გეგმის გადამეტებით ჩაბარებული შაქრის ჭარხლისათვის (მტს-ის სამუშაოთა ნატურანაზღაურების ჩათვლით) კოლმეურნეობებს ეძლევათ ფულადი პრემია-დანამატი დასამზადებელი ფასის 50 პროცენტის ოდენობით.

სერიოზული ამოცანები დგას ჩვენი რესპუბლიკის მეჭარხლეთა წინაშე. საქართველოში შაქრის ჭარხლის წარმოება 1960 წელს აყვანილ უნდა იქნას 150 ათას ტონამდე. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და საქართველოს სსრ სასურსათო საკონლის მრეწველობის სამინისტროებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა ყოველმა კოლმეურნეობამ აუცილებლად შეასრულოს შაქრის ჭარხლის წარმოებისა და დამზადების გეგმა.

საქართველოში შაქრის ჭარხალს ამჟამად 5.000 ჰექტარი უკავია. გაჩადებულია მოვლის სამუშაოები. კოლმეურნეობებმა დაამთავრეს პირველი ზერელე გაფხვიერება (შაოვკა), დასასრულს უახლოვდება გამოხშირვა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში აგვიანებენ ჭარხლის ნათესების დამუშავებას. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩამორჩა ჭარხლის ნათესების გამოხშირვა, ხოლო კახეთის რაიონში — გაფხვიერება. ეს ჩამორჩენა აიხსნება კოლმეურნეთა შრომის ორგანიზაციაში სერიოზული ნაკლოვანებებით, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მხრივ ჭარხლის მოვლის სამუშაოთა მიმდინარეობის ცუდი კონტროლით.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ხელმძღვანელები ვალდებული არიან უზრუნველყონ ნათესების დროულად და მაღალხარისხოვნად დამუშავება.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე უკრაინის სსრ მოწინავე მეჭარხლეები გამოვიდნენ სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის მეჭარხლეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოძმე უკრაინის მეჭარხლეთა პატრიოტულ თაოსნობას, ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრეს საუკეთესოდ მოუარონ ჭარხლის პლანტაციებს, დროზე მოაწყონ ნათესების გამოკვება, განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება მავნებლებთან და მცენარის დაავადების წინააღმდეგ ხაბრძოლველად, უდანაკარგოდ აიღონ და გადაამუშაონ ჭარხალი.

საქართველოს მეჭარხლეები ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „შაქრის ჭარხლის წარმოებისა და შაქრის გამომუშავების გადიდების ღონისძიებათა შესახებ". კოლმეურნეები, მტს-ების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ამ დადგენილებას უპასუხებენ ახალი შრომითი წარმატებებით, სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი აღმავლობით მეექვსე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

თიბვა დაიწყო

ბოლნისი. (საკ. კორ.). წელს რაიონში მარშანდლესთან შედარებით მეტ თივას დაამზადებენ. კოლმეურნეობები დროზე შეუდგნენ თივის აღებას. თამარისის მტს-ის სათიბი მანქანები მუშაობენ სოფელ არახლოს კოლმეურნეობა „კომუნიზმში", სოფელ კოჩულის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში.

თიბვაში მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია ამ მტს-ის მეორე სატრაქტორო ბრიგადის სათიბი აგრეგატის ხელმძღვანელმა გ. გამბაროვმა. იგი თიბვის ყოველდღიურ დავალებას 115-120 პროცენტით ასრულებს.

სოფელ სარაჩლოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში რელიეფი ხელს არ უშლის სათიბი აგრეგატების გამოყენებას, ამიტომ კოლმეურნეები ხელით თიბავენ ბალახს. მოწინავე მთიბავები მ. ბადალოვი, ს. ალახვერდიოღლი და სხვები ყოველდღიურად 0,25-0,30 ჰექტარს თიბავენ. ისინი ბეჯითად შრომობენ, რათა მტკიცე საკვები ბაზა შეუქმნან საზოგადოებრივ მეცხოველეობას.

ახალი შრომითი აღმავლობა

ბარაქიანია სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მიწის ფართობები. შარშან 140 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე ოქ 37,9 ცენტნერი სიმინდი მიიღეს, ხოლო 540 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 15,7 ცენტნერი ხორბალი. ყოველწლიურად იღებენ აგრეთვე შაქრის ჭარხლის უხვ მოსავალს. მიღწეული აქვთ სიმინდის ნაწყვარალზე თესვაში.

ყოველივე ამან დიდად შეუწყო ხელი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. შარშან საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 1.302 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.000 კილოგრამისა. წელს ერედველები მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის იბრძვიან.

ახლა გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება, გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს მინდვრის სამუშაოები, სწრაფად თოხნიან სიმინდიხა და შაქრის ჭარხლის ნათესებს. კოლმეურნეთა პირობაა ეს სამუშაოები ვადაზე 5 დღით ადრე დაამთავრონ.

ამას წინათ კოლმეურნეებს გააცნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „შაქრის ჭარხლის წარმოებისა და შაქრის გამომუშავების გადიდების ღონისძიებათა შესახებ". ამ დადგენილებას ერედველი კოლმეურნეები სიხარულით შეხვდნენ.

დადგენილების პასუხად კოლმეურნეებმა იკისრეს მეტი ყურადღება მიაქციონ შაქრის ჭარხლის მოყვანას, ნათესებში საკმაო რაოდენობით შეიტანონ ორგანული და მინერალური სასუქები, მოაწყონ ბრძოლა სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ, უნარიანად გამოიყენონ შრომითი რესურსები.

• • •

სურათზე: მესამე ბრიგადის მერგოლური კ. ბაციკაძე კოლმეურნეებს აცნობს პარტიისა და მთავრობის დადგენილებას შაქრის ჭარხლის წარმოებისა და შაქრის გამომუშავების გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

მოწინავეთა გამოცდილება—მასებს

აბრეშუმის ჭიის გამოკვების ჩქაროსნული მეთოდი

ჩვენი რესპუბლიკის მეაბრეშუმეები კარგად იცნობენ ქისტაურელ მეაბრეშუმეს ოსანა აივაზოშვილს. ჭიის გამოკვების მისი მეთოდი ფართოდ ინერგება მეაბრეშუმეობაში. ჩნდებიან ახალი და ახალი ნოვატორები. ერთ-ერთი ასეთია ლანჩხუთის რაიონის ახალი სოფლის ძერეინსკის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლოლა კომახიძე.

ამას წინათ სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა მახარაძელი მერგოლურის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნადია ბერძენიშვილისა და ლოლა კომახიძის რგოლებს შორის. მათი მუშაობის გამოცდილებაზე ლანჩხუთისა და მახარაძის რაიონულმა გაზეთებმა 25 მაისს გვერდები შეცვალეს, რითაც მეაბრეშუმეებს დახმარება გაუწიეს აბრეშუმის ჭიის გამოკვების მოწინავე მეთოდების დანერგვის საქმეში.

ლოლა კომახიძის რგოლში 9 მეაბრეშუმეა. დაწყებული 1950 წლიდან ეს რგოლი წარმატებებს აღწევს აბრეშუმის ჭიის გამოკვებაში და ყოველწლიურად ზრდის პარკის მოსავლიანობას. 1954 წელს 4 კოლოფი თესლიდან 387,1 კილოგრამი პარკი მოიყვანა. რგოლი გასულ წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გახდა ფართო ჩვენებით. სპეციალური სტენდი ამშვენებს პავილიონის შეაბრეშუმეობის განყოფილებას. 1955 წელს იმდენივე თესლიდან 414,2 კილოგრამი პარკი მოიყვანა და კვლავ გამოფენის მონაწილე გახდა.

ლოლა კომახიძის რგოლის წარმატებები მოპოვებულია რგოლის მეაბრეშუმეების გოგუცა რუსიძის, გოლია გუმბარიძისა და სხვების დაუღალავი შეაბრეშუმეობით, რომლებიც კარგად იყენებენ ლ. კომახიძის გამოცდილებას და ყოველთვის უხვ მოსავალს იღებენ.

ლოლა კომახიძის რგოლის ყველა მეაბრეშუმე ჭიის გამოკვების ჩქაროსნული მეთოდებით მუშაობს. მათ გადაწყვიტეს წელს გამოკვებონ 4 კოლოფი თესლიდან გამოყვანილი მური და მიიღონ 420 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი. პირადად ლოლამ გადაწყვიტა 12 გრამი მურიდან მიიღოს 95 კილოგრამი პარკი.

რაში გამოიხატება ჭიის გამოკვების ჩქაროსნული მეთოდი?

ამის შესახებ თვითონ ლოლა კომახიძეს მოვუსმინოთ:

უწინარეს ყოვლისა, — მოგვითხრობს ამბ. ლ. კომახიძე, — ჭიის გამოყვანამდე ვამზადებთ საჭიე ბინებს, ვახდენთ ბინისა და ინვენტარის დეზინფექციას. აბრეშუმის ჭიას პირველ სამ ასაკში ვკვებავთ რგოლურად, ვაძლევთ დაჭრილ ფოთოლს დღეში 10-12-ჯერ, ღამით — 4-5-ჯერ. დაჭრილი ფოთლის უპირატესობა ის არის, რომ ფოთოლი ლასტებზე თანაბრად ნაწილდება, ჭია კი კიდიდან იწყებს ჭამას და ადვილად უხბა ფოთლის კიდურებს. როცა სადღეღამისო კვებას ვაწარმოებთ, საშუალება გვაქვს თვალყური ვადევნოთ ბინის ტემპერატურასა და სინესტეს. ჯერ კიდევ ჭიის შეყვანამდე ბინაში დაცულია 25-26 გრადუსამდე ტემპერატურა და 70-75 პროცენტამდე სინესტე. ამდენსავე ტემპერატურასა და სინესტეს ვუნარჩუნებთ ბინას ჭიის პირველ ასაკებში, მაგრამ შემდგომ უკანასკნელ ასაკებში ტემპერატურა დაგვყავს 23-24 გრადუსამდე, სინესტეს კი იმდენსავე ვტოვებთ.

ამავე დროს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ჭიის განლაგებას ლასტებზე. უმჯობესია ჭიები მეჩხრად ვიყოლიოთ, ხშირად გამოვუცვალოთ ნაძირი, რადგან ბევრი და ძველი ნაძირი იწვევს ჭიის დაავადებას.

საკახე მასალების დროულად მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს. რგოლის მეაბრეშუმეები საკახე მასალებს შემოდგომაზე ამზადებენ და ჩრდილში იხახავენ. ამ საქმისათვის უმთავრესად იყენებენ რცხილას, ქამანიას, გვიმრას, კრავენ მას პატარ-პატარა კონებად და წესიერად ჩადგამენ ხოლმე ლასტებზე. პარკის გამოკრეფას კი იწყებენ ახვევის დამთავრებიდან 8-9 დღის შემდეგ. პარკის ჩაბარება გრილ ამინდში წარმოებს.

აბრეშუმის ჭიის გამოკვების ჩქაროსნული მეთოდის დანერგვა ერთგვარი პროფილაქტიკური ღონისძიებაა ჭიის დაავადების თავიდან აცილებისათვის. მეორე მხრივ, მეაბრეშუმე ქალები ადრე განთავისუფლდებიან ჭიის მოვლა-პატრონობისაგან და სხვა საკოლმეურნეო საქმიანობაში ჩაებმებიან. ამიტომ ლოლა კომახიძის გამოცდილება ფართოდ გავრცელების ღირსია.

წელს გამოფენაზე ლოლა კომახიძე ახალი გამოცდილებით გაიმდიდრებს ცოდნას და მომავალში უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწევს.

გაზეთ „სოციალისტური შრომის" რედაქცია — „კომუნისტის" კოლექტიური კორესპონდენტი.

ემზადებიან ჰურეულის მოსავლის ასაღებად

ბორი. (საკ. კორ.). რაიონში დაიწყო მზადება თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისათვის. ამ საქმეში დაწინაურდა ტყვიავის მტს-ი.

ტყვიაველმა მექანიზატორებმა, რომლებმაც ვადაზე 11 დღით ადრე — 30 მაისისათვის შეასრულეს კომბაინების რემონტის გეგმა, ვალდებულება იკისრეს წელს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აიღონ 2.200 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.000 ჰექტარისა, მოსავლის აღება დაამთავრონ 10 სამუშაო დღეში და დაზოგონ საწვავის 2 პროცენტი.

საბჭოთა მშენებლობა

მთავარი დაიწყეს

ზრუნვა საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის სბ-ჭოების ღვიძლი საქმეა. სასოფლო სბ-ჭოების მასობრივი და ორგანიზატორული მუშაობის დონეზე ბევრად არის დამოკიდებული კოლმეურნეობებში შრომის სწორი ორგანიზაცია, მოსავლიანობის ზრდა, კოლმეურნეობათა ეკონომიკის გაძლიერება.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის სასოფლო საბჭო და მისი აღმასკომი ასეთი საკითხებით ნაკლებად არიან დაინტერესებულნი. აღმასკომის თავმჯდომარე გ. ქუთაშვილი ძირითადად დამზადების საკითხებით არის გართული. მან დაიწყო მთავარი — ზრუნვა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, დეპუტატებთან, აქტივთან მუშაობა.

მიმდინარე წლის პირველ სამ თვეს ცოდნისკარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის არცერთი სხდომა არ შემდგარა. სესიებს მოუმზადებლად იწვევენ. მიღებული დადგენილებები ხშირად ზერელეა, არავინ ზრუნავს გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მომზადება სასოფლო საბჭოს აღმასკომს ჩოლოდ გაზაფხულზე გაახსენდა. როგორც იქნა მარტში მოიწვიეს სესია, რომელზეც საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის საკითხი განიხილეს. ეს სესიაც მოუმზადებელი იყო. კოლმეურნეობის აგრონომის გ. კვიტაშვილის მოხსენება ზერელე და ზოგადი ხასიათის აღმოჩნდა. მან არ ამხილა არსებული ნაკლოვანებები და, რასაკვირველია, ვერც მათი გამოსწორების გზები დასახა. მომხსენებლის შემდეგ გამოსულმა დეპუტატმა ა. კაღაშვილმა თავისი სიტყვა მემინდვრეობის იმ ბრიგადის ხოტბით ამოწურა, სადაც თვითონ მუშაობს. ამას მოჰყვა ზერელე გადაწყვეტილება. [illegible] ლებათა განსახორციელებლად. [illegible] სოფლო საბჭოს და მის აღმასკომს არც კი უფიქრიათ დახმარებოდნენ ძერეინსკის სახელობის კოლმეურნეობას საგაზაფხულო სამუშაოების წარმართვის საქმეში. კოლმეურნეობაში კი ბევრი ნაკლია. მაგალითად, არ ჩატარებულა ნათესების გამოკვება მინერალური სასუქებით. მოუგვარებელია შრომა. სასოფლო საბჭო და მისი სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია კი არავითარ ზომებს არ იღებენ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

სოფელ ცოდნისკარის ძერეინსკის სახელობის კოლმეურნეობაში სასოფლო საბჭოს 11 დეპუტატი მუშაობს, მაგრამ არა ჩანს მათი ავანგარდული როლი. ზოგიერთ მათგანს საკოლმეურნეო შრომაში არასახარბიელო შედეგები აქვს.

ცოდნისკარი, როგორც იტყვიან, რაიონის საბჭოს აღმასკომის ყურისძირშია. მაგრამ ეს საქმეს როდი შველის. სასოფლო საბჭოს აღმასკომი ვერ გრძნობს მის ხელმძღვანელობასა და დახმარებას. რაიონის აღმასკომს დღემდე არსებითად არაფერი გაუკეთებია იმისათვისაც, რომ ცოდნისკარის სასოფლო საბჭოსა და მის დეპუტატებს კარგად გაეგოთ და შეეთვისებინათ პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ის ამოცანები, რომლებიც დასახულია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, კერძოდ სასოფლო საბჭოების წინაშე.

ცოდნისკარის სასოფლო საბჭოს აღმასკომს კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება სჭირდება, უამისოდ იგი თავს ვერ გაართმევს მის წინაშე დასახულ ამოცანებს, ვერ შეძლებს კვალიფიციურად, საქმის ცოდნით ხელმძღვანელოს სოფლის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას.

ბ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

გაზეთ «მოლოდი სტალინეცის» 35 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

გუშინ თბილისში ძერეინსკის სახელობის კლუბში გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის ორგანოს — გაზეთ „მოლოდი სტალინეცის" 35 წლისთავს.

კლუბის დარბაზში შეიკრიბნენ ქალაქის საწარმოთა და მშენებლობათა ახალგაზრდა მუშები, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლენი, ახალგაზრდა მეცნიერები, მწერლები და ჟურნალისტები, მსახიობები, კომკავშირული მუშაკები.

გაზეთ „მოლოდი სტალინეცის" რედაქციის კოლექტივს რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით მიესალმა საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. ჯანელიძე. მან საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები გადასცა რედაქციის მუშაკთა ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებული არიან მრავალი წლის და უმწიკვლო მუშაობისათვის.

საღამოზე მისალმებით გამოვიდნენ გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციის კოლექტივისაგან ი. სარაჯიშვილი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ახალგაზრდობისაგან ხარატი ვ. ერმაკი, გაზეთ „კომუნისტის" რედაქციისაგან ა. ჩავლეიშვილი, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციისაგან გ. გელაშვილი, გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" რედაქციისაგან გ. პეტროსიანი, გაზეთ „ამერიკავკასიის რკინიგზელის" რედაქციისაგან მ. პოლიაკოვი, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობისაგან 25-ე საშუალო სკოლის მოსწავლე თ. გვენცაძე.

შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის, კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ-მაყურებელთა თეატრისა და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობებმა. (საქდესი).

პარტიული ცხოვრება

სასკოლო პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ სკოლების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრა მოითხოვს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, სასკოლო პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, კომუნისტ მასწავლებელთა კვალიფიკაციის სრულყოფას და ავანგარდული როლის გაძლიერებას.

შუახევის რაიონის სკოლების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ მიმართულებით საგრძნობი მუშაობა გასწიეს და მოსწავლეთა სწავლა-აღზრდაში მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს. მაგრამ ნაკლი ჯერ კიდევ ბევრია. მთელი რიგი სკოლები კვლავ სუსტად მუშაობენ, ისევ დიდია მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა რიცხვი.

პარტიის XX ყრილობამ მოითხოვა, რომ საბჭოთა სკოლამ შეაიარაღოს მოსწავლე ახალგაზრდობა მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნით, გააცნოს მათ სოციალისტური მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, გამოუმუშაოს შრომითი ჩვევები პრაქტიკული საქმიანობისათვის. რაიონის სკოლების დიდი ნაწილი ამ ამოცანის განხორციელებისათვის ჯერ კიდევ არ არის მზად. არც ერთი რვაწლიანი სკოლა უზრუნველყოფილი არ არის ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტ-ლაბორატორიებითა და სახელოსნოებით. ამის გამო სკოლებში პოლიტექნიკური სწავლება ფორმალურ ხასიათს ატარებს. თვით შუახევის საშუალო სკოლაში თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები გამოუყენებელია.

რაიონის მთელ რიგ სკოლებში (ნიენის, ფურტიოს, ნიგაზეულის, ჩანჩახალოს რვაწლიანი სკოლები) ბიოლოგიის სწავლება კვლავ წიგნურ ხასიათს ატარებს და ბოწყვეტილია სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკას.

სასკოლო პარტიული ორგანიზაციების, სახალხო განათლების ყველა მუშაკის ამოცანაა აღმოფხვრან ფორმალიზმი ტექნიკური და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაში, ამ საგნების სწავლებას საფუძვლად დაუდონ თვალსაჩინოება, ექსპერიმენტი და პრაქტიკული ვარჯიში, ბიოლოგიის პროგრამული მასალის სწავლება მჭიდროდ დაუკავშირონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის პრაქტიკას.

მთელი რიგი სკოლების პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას, მოსწავლეთა ათეისტურ აღზრდას. ამის გამო ზოგიერთ სკოლაში არის სასკოლო ასაკის მოსწავლეთა დაქორწინების შემთხვევები და სხვა მავნე ჩვევების გაბოლშინებანი, რაც იწვევს მოსწავლეგოგონების განთესვას სკოლებიდან. ამიტომ უფროს კლასებში გოგონების რიცხვი საგრძნობლად მცირდება. მაგალითად, რაიონის სკოლების მერვე კლასებში 320 მოსწავლიდან 128 გოგონაა, მეცხრე-მეათე კლასებში 296 მოსწავლიდან — 47, ხოლო მე-11 კლასებში 61 მოსწავლიდან 6 გოგონაა.

ბევრგან მოსწავლეები აღრეკენ ყოფაქცევის წესებს, არასაპატიო ნიზეზით აცდენენ გაკვეთილებს, არ ასრულებენ საშინაო დავალებას, სარგებლობენ „შპარგალკებით", ერთმანეთს უკარნახებენ და ა. შ. 1955-56 სასწავლო წლის განმავლობაში რაიონის სკოლებში მოსწავლეებმა უმიზეზოდ გააცდინეს 40 ათასზე მეტი აკადემიური საათი. შუახევის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა არასაპატიო მიზეზით გააცდინეს 3 ათასამდე საათი, ჭალის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებმა — 2.300, ხოლო ნაღვარევის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებმა — 3 ათასი აკადემიური საათი.

ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად სკოლის ზოგიერთი ხელმძღვანელი მხოლოდ ადმინისტრაციული ზომების მიღებით კმაყოფილდება. 1955-56 სასწავლო წლის მესამე მეოთხედისათვის რაიონის სკოლებიდან 40-ზე მეტი მოსწავლე გაირიცხა. ეს ფაქტი მეტყველებს პედაგოგიური კოლექტივის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების სუსტ მუშაობაზე.

ზოგიერთი პედაგოგი ვერ ახერხებს სწავლა-აღზრდის შეხამებას სწავლების პროცესთან, ხოლო ზოგან ჯეროვნად არ ესმით, რომ საბჭოთა სკოლაში სწავლების პროცესი ამავე დროს მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის, იდეური გამოწრთობის ამოცანასაც უნდა ემსახურებოდეს. ზოგიერთი სკოლის ადმინისტრაცია და პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ ვერ აფასებენ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების როლს მოსწავლეთა აკადემიური დონის ამაღლების, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და კარგი ყოფაქცევისათვის ბრძოლაში. ამით აიხსნება, რომ ჩანჩახალოს, ნაღვარევის, ფურტიოს რვაწლიან და რაიონის მთელ რიგ სხვა სკოლებში კომკავშირული და პიონერული მუშაობა თითქმის ჩაშლილია, იმავითად ეწყობა კომკავშირული კრებები და პიონერული შეკრებები. მასწავლებლები საქმიანად არ ეხმარებიან კომკავშირელებს ორგანიზაციულ მუშაობაში, იმავითად ესწრებიან კომკავშირულ კრებებს.

სასკოლო პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებისადმი, რათა ისინი გახდნენ მასწავლებელთა კოლექტივების აქტიური თანაშემწენი მოსწავლეთა შორის დისციპლინისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

ცალკეული მასწავლებლები სუსტ პედაგოგიურ და პოლიტიკურ მომზადებას ავლინებენ, ხოლო პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მასწავლებელთა შორის იდეოლოგიურ მუშაობას, არ აწყობენ ლექციებს, კონსულტაციებს და თეორიულ გასაუბრებებს.

მასწავლებელთა შორის იდეოლოგიური მუშაობის ცუდად დაყენებით აიხსნება ის ფაქტი, რომ რაიონის მთელ რიგ სკოლებში მშობლიური და რუსული ენების, ისტორიის, გეოგრაფიის და სხვა საგნების სწავლება მოკლებულია იდეურ-პოლიტიკურ შინაარსს და მეტწილად სასწავლო მასალის ზერელე შეთვისების ხასიათს ატარებს. ამიტომ არის, რომ მოსწავლეთა ნაწილს არ ძალუძს შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, არ შეუძლია ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის სწორი ანალიზი და უცოდინარობას იჩენს ზოგიერთ ელემენტარულ საკითხშიც კი.

ფურტიოს, ნიგაზეულის, ჩანჩახალოს და სხვა სკოლების პარტიული ორგანიზაციების კრებებზე მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და დისციპლინის განმტკიცების საკითხებს პრიმიტიულად განიხილავენ, იმართება მომბეზრებელი ლაპარაკი პროცენტებსა და ნიშნებზე, ხოლო ყურადღებიდან რჩებათ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი. მიღებულ დადგენილებათა შესრულება-შემოწმებისათვის არავინ ზრუნავს. ხშირად პარტიული ორგანიზაციისა და პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმები თითქმის ერთნაირია, რის გამო პარტიული კრების ზოგიერთი დადგენილება პედსაბჭოს სხდომის დადგენილების დუბლირებას წარმოადგენს. ასეა, მაგალითად, შუახევის, ბათუმის, ჭალის, ნიგაზეულის, ფურტიოს, ჩანჩახალოს, ნაღვარევის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ფოთის, ბაღდათის, ტყვიავის, ონის, ამბროლაურის, ლაგოდეხის, ყვარლის, ბორჯომის, ახალციხის, ასპინძის, ბოლნისის, ნინოწმინდის, ალაგირის, ბაკურიანის, ბაზალეთის, ბანოვანის, ბაკურიანის, ბაზალეთის, ბანოვანის, ბაკურიანის, ბაზალეთის, ბანოვან

თ·ხ ე ვ ა დ ი გ ა ზ ი — რესპუბლიკის ქალაქებს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ ითვალისწინებენ გაზის მრეწველობის შემდგომ მნიშვნელოვან გაფართოებას. 1960 წელს გაზის გამომუშავებამ საბჭოთა კავშირში 40 მილიარდი კუბური მეტრი უნდა შეადგინოს და 3,9-ჯერ უნდა გადააჭარბოს გაზის წარმოების იმ დონეს, რომელიც 1955 წელს იყო მიღწეული.

გაზს როგორც სათბობს ბევრი დადებითი თვისება აქვს და კომუნალურ ეხერგეტიკაში მისი გამოყენება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. ამიტომ ქალაქების გაზიფიკაციას ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა.

გაზის მრეწველობის განვითარება განხორციელდება როგორც ხელოვნური, ისე უმთავრესად ბუნებრივი გაზის წარმოების გაფართოების ბაზაზე. ამასთან დიდი ყურადღება დაეთმობა თხევადი გაზის წარმოებას, რომლის გამოყენება ქალაქების გაზიფიკაციის მიზნისათვის ზოგ შემთხვევაში მეტად კარგ შედეგს იძლევა. კერძოდ გაზიფიკაცია თხევადი გაზის ბაზაზე დიდი აქტუალობით ხასიათდება ჩვენს რესპუბლიკაში.

თხევადი გაზი ეწოდება ორი საწვავი გაზის — ბუტანისა და პროპანის ნარევს. დაახლოებით 8 ატმოსფერამდე შეკუმშვის შედეგად ეს გაზები, თუ ნორმალური ტემპერატურის ვითარებაში მოხვდებიან, თხევადდებიან, რის გამო მათი მოცულობა მკვეთრად მცირდება. სახელდობრ, 15-30 კილოგრამი გათხევადებული გაზი თავსდება შედარებით მცირე ზომის — რამდენიმე ათეული ლიტრის მოცულობის ბალონში.

თხევადი გაზით გავსებული ბალონი იდგმება სამზარეულოში ან მის მახლობლად და ფოლადის წვრილი მილით უერთდება ჩვეულებრივი გაზის ქურას და გაზით საბაზანო წყალგამცხელებელს. ქურასთან ბალონის შემაერთებელ მილზე მორგებულია ეგრეთწოდებული სარედუქციო სარქველი. ამ სარქველში გავლისას ბალონში მყოფი თხევადი გაზის წნევა ეცემა, რის შედეგადაც იგი დაუყოვნებლივ ორთქლდება. ამ სახით გაზი ხვდება ქურაში, სადაც იგი იწვის ისე, როგორც ბუნებრივი ან ხელოვნური გაზი.

ბუტანსა და პროპანს შეიცავს როგორც ბუნებრივი გაზი, რომელსაც ნავთობის ჭაბურღილებით მიწის წიაღიდან იღებენ, ისე ის გაზები, რომლებიც გამოიყოფა ნავთობგადამმუშავებელ ქარხნებში სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესების განხორციელების დროს.

ცნობილია, რომ ჩვეულებრივად ქალაქებში მომხმარებელთა გაზით მომარაგება ხორციელდება მიწისქვეშა მილსადენებით. პატარა ქალაქში გაზსანაწილებელი ქსელების მოწყობა ყოველთვის როდია ეკონომიურად გამართლებული. პატარა ქალაქებში და დიდი ქალაქების განაპირა უბნებში, აგრეთვე საგარეუბნო აგარაკებზე ეკონომიურად უფრო ხელსაყრელია თხევადი გაზის გამოყენება.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ერთ ოჯახს 30 კილოგრამი თხევადი გაზით გავსებული ბალონი ჰყოფნის დაახლოებით ერთ თვეს. დაცლილი ბალონების შეცვლას აწარმოებენ სპეციალური ორგანიზაციები — ეგრეთწოდებული თხევადი გაზის კანტორები, რომლებიც ბალონების ტრანსპორტირებისათვის იყენებენ სპეციალურ სატვირთო ავტომანქანებს.

საბჭოთა კავშირში თხევადი გაზის გამომუშავების გაფართოებასთან ერთად ინტენსიურად ხდება ასეთი გაზით ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გაზიფიკაცია. განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწია ამ დარგში მოძმე უკრაინამ. 1946 წელს ქ. კიევის განაპირა უბნებში თხევადი გაზით პირველად გაზიფიცირებულ იქნა 270 ბინა. 1955 წლის დასასრულისათვის გაზიფიცირებული ბინების რაოდენობა კიევში და უკრაინის სოლქო ცენტრებში 37.000-მდე გაიზარდა.

თხევადი გაზი ინერგება აგრეთვე ქ. რიგის საქალაქო მეურნეობაში. 1950 წელს აქ გაზიფიცირებულ იქნა 400 ბინა, ხოლო 1955 წლის დასასრულისათვის 5 ათასს მიაღწია. თხევად გაზს საკმაოდ დიდი რაოდენობით იყენებს აგრეთვე მოსკოვი, რომელიც, ისევე როგორც კიევი და რიგა, ფართოდ არის გაზიფიცირებული ბუნებრივი გაზით. მოსკოვის განაპირა უბნებში ამჟამად თხევადი გაზით მარაგდება 28 ათასზე მეტი ბინა. ასეთივე გაზით მარაგდება აგრეთვე ჩრდილოეთ პოლუსის რაიონში არსებული საბჭოთა მოდრეიფე სადგურები.

თხევადი გაზის წარმოება ფართოდ არის გაშლილი უცხოეთშიც. კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ეს გაზი მეტად დიდი რაოდენობით მზადდება, მას უმთავრესად კომუნალურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად იყენებენ.

1954 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტში ჩვენი რესპუბლიკის მთავარი ქალაქების ენერგომომარაგების პერსპექტივების შესწავლასთან დაკავშირებით დიდი ყურადღება დაეთმო ქ. ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში თხევადი გაზის წარმოების ორგანიზაციისა და ამ გაზით ბათუმისა და დასავლეთ საქართველოს ზოგი სხვა ქალაქის მომარაგების საკითხს.

ბოლო ხანებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა თხევადი გაზით ქ. ბათუმის მოსამარაგებლად, რაც შესაძლებლად ხდის ამ ქალაქის გაზიფიკაციის დაწყებას უკვე მიმდინარე წლის მეორე ნახევრიდან.

რესპუბლიკაში თხევადი გაზის ბაზაზე გაზიფიკაციის დანერგვისათვის ხელშეწყობის მიზნით ელექტრომრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს გამგეობამ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტმა ამას წინათ ბათუმში მოაწყეს სპეციალური თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, აჭარის ასსრ და ქალაქ ბათუმის პარტიული, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე თბილისის საბჭოს წარმომადგენლებმა.

თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო თხევადი გაზის ბალონებში ჩამოსხმის ორგანიზაციის საკითხს, რომლის დროულად გადაჭრა გაზიფიკაციის ფართოდ გაშლის ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა.

ვინაიდან აღმოჩნდა, რომ წელს ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანას შეუძლია გამოუშვას თხევადი გაზი, რომელიც საკმარისი იქნება 15 ათასზე მეტი ბინის გაზიფიკაციისათვის, ცხადი ხდება, რომ გაზის ამ რაოდენობის დროულად ათვისების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ბათუმში სათანადო სიმძლავრის მქონე გაზის განმანაწილებელი სადგურის აგება. ამასთან დაკავშირებით საჭიროა არსებული ტიპური პროექტების საფუძველზე წელს დამუშავდეს ქ. ბათუმის თხევადი გაზის განმანაწილებელი სადგურის პროექტი, ხოლო 1957 წლის განმავლობაში განხორციელდეს ხსენებული სადგურის მშენებლობა.

ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში თხევადი გაზის წარმოების შემდგომი გაფართოების დიდი შესაძლებლობა არსებობს. ამასთან დაკავშირებით სავსებით რეალურად დგება თხევადი გაზით გავსებული ბალონების ქუთაისში, ფოთში, მახარაძეში და სოხუმში გადაზიდვის საკითხი. ამ ქალაქებში უნდა მოეწყოს თხევადი გაზის ბალონების მეურნეობის ბაზები. ეს ბაზები თავს მოუყრიან სავსე და ცარიელი ბალონების მარაგს და მომსახურებას გაუწევენ ქალაქში მოქმედ გაზბალონიან დანადგარებს. ცხადია, რომ ზემოხსენებული ქალაქების ორგანიზაციებმა ამთავითვე უნდა გადადგან სათანადო ნაბიჯები თხევადი გაზით მოსახლეობის მომარაგების მოსაგვარებლად.

ამ მიმართულებით პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებას სათავეში უნდა ჩაუდგეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო.

ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში თხევადი გაზის გამოსაშვებად საჭირო მოწყობილობის მიღებას და ქ. ბათუმის გაზიფიკაციისათვის საჭირო გაზის ქურების შეძენას ამჟამად გარკვეული სიძნელეები ხვდება. საჭიროა ამთავითვე მიღებულ იქნას ღონისძიებანი ხსენებულ სიძნელეთა გადასალახავად.

გაზიფიკაციის მიზნებისათვის თხევადი გაზის გამოყენება წარმოადგენს ფრიად მნიშვნელოვან საქმეს ჩვენი ქალაქების ენერგომომსახურების დონის ამაღლებაში.

ვ. გოგელაური,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის თბოტექნიკის განყოფილების გამგე.

ქ. ციციშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ელექტროსადგურების და ჰიდროენერგომშენებლობის ჯგუფის უფროსი.

ჟიათურის ახალმშენებლობანი

ჟიათურა. (საკ. კორ.). ამას წინათ ქალაქ ჟიათურაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ამერიკაკასიის მეტალურგიული მშენებლობის ტრესტის ჟიათურის სამშენებლო სამმართველოს ბეტონის ქარხანა, რომელიც წლიურად 54.000 კუბურ მეტრ ბეტონს გამოუშვებს. აქ ყველა პროცესი მექანიზებული და ავტომატიზებულია. მშენებლობაზე ნახევარი მილიონი მანეთი დაიხარჯა. დამატებით აშენდება ქვის სამსხვრევი და ცემენტის საწყობი. „ჟიათურმშენი“ აშენებს სილიკატური აგურის ქარხანას, რომლის მშენებლობა 3 მილიონი მანეთი ჯდება. ქარხნის მშენებლობა წელს უნდა დამთავრდეს. იგი ყოველდღიურად 18 მილიონ ცალ აგურს გამოუშვებს.

ლენინის სახელობის მაღაროში შენდება მუშათა კლუბი, რომელზეც 2.070.000 მანეთი დაიხარჯება. იგი წელს უნდა დამთავრდეს. დამთავრდა მექანიზებული სამრეცხაოს და საშრობის მშენებლობა.

დასასრულს უახლოვდება ახალი 130-საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა, რომელზეც 4.800.000 მანეთი იხარჯება. იგი წელს გადაეცემა საექსპლოატაციოდ. მას ექნება ყველა განყოფილება და ლაბორატორია.

არდადეგების პერიოდში — სამუშაოდ ლაჯანურჰესის მშენებლობაზე

ამ სურათზე აღბეჭდილია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ამ სტუდენტთა ერთი ჯგუფი, რომლებმაც გადაწყვიტეს გამოცდების დამთავრების შემდეგ ერთი თვით სამუშაოდ წავიდნენ ლაჯანურჰესის მშენებლობაზე. მათ პირობა დადეს, რომ თავდადებული შრომით თავიანთ წვლილს შეიტანენ მეექვსე ხუთწლედის მშენებლობებში.

2.400-მდე სტუდენტი აბარებს ახლა გამოცდებს. უკვე დაიწყო სადიპლომო ნაშრომების დაცვა. წელს ინსტიტუტს ამთავრებს 576 კაცი, რომლებიც სამუშაოდ წავლენ ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში.

ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტში ბევრი კომკავშირელი მოდის განცხადებით. ისინი სურვილს გამოთქვამენ არდადეგების პერიოდში სამუშაოდ წავიდნენ ჩვენი რესპუბლიკის მეექვსე ხუთწლედის მშენებლობებზე.

ს უ რ ა თ ზ ე: სტუდიო-სამეურნეო და ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტები (მარჯვნიდან მარცხნივ): შ. გუმაშვილი, ს. ინუაძე, გ. ჯანნაშვილი, ვ. სეთურიძე, გ. გოლანია და გ. ნადირაძე ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანს გ. აზაურაშვილს მიმართავენ განცხადებით ახალმშენებლობებზე გამგზავრების შესახებ.

ფოტო ს. ონანოვისა.

დამხმარე მეურნეობა რკინიგზელთათვის

ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმო-დაწესებულებების მუშაკთა საზოგადოებრივი კვების ობიექტები სტადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს იღებენ წეროვნის, ოჩამჩირის, ხაშურის, ლენინაკანის დამხმარე მეურნეობებიდან, რომლებსაც 250 ჰექტარი ფართობი უკავია.

საზოგადოებრივი კვების ობიექტების პროდუქტებით უკეთ მომარაგების მიზნით ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გარდაბნის რაიონში მთავარ ინჟინერთან გამოუყვეს 500 ჰექტარი ყამირი მიწა დამხმარე მეურნეობის შესაქმნელად. მეურნეობის მუშაკებმა უკვე წელს ათთვისეს ამ ჰექტარსაც ფართობი, დათესეს 10 ჰექტარი ქერი, 25 ჰექტარი სიმინდი, 18 ჰექტარი ბოჩეულინური — კიტრი, პომიდორი, ბადრიჯანი, კომბოსტო და სხვ. 34 ჰექტარზე დათესილია აგრეთვე იონჯა და სხვა საკვები ბალახები.

დამხმარე მეურნეობას ეყოლება ძროხები, ღორები და ქათმები. ამისათვის აიგება მექანიზებული საძროხე, საღორე და საფრინველე. შეიქმნება მძლავრი სასაწყობო მეურნეობა. მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისათვის უახლოეს ხანში აიგება საცხოვრებელი სახლები და სხვა სათავსები.

დაწყებულია საკუთარი წყალსადენის მშენებლობა.

ქარხნის ტექნიკურ კაბინეტში

მერვე წელია, რაც სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებელ ქარხანასთან ჩამოყალიბდა ტექნიკური კაბინეტი. ამ ხნის განმავლობაში კაბინეტმა ტექნიკური საკითხების პროპაგანდის მხრივ მრავალი საინტერესო ღონისძიება განახორციელა. ყოველ საამქროში გამოყოფილი არიან ტექნიკური პროპაგანდისტები, კონსულტანტები, ლექტორები, რომლებიც აწყობენ ლექციებს, სუბარებს ტექნიკის სხვადასხვა საკითხებზე. იმართება მოწინავე მუშების შეხვედრები ახალგაზრდებთან. ამ შეხვედრებზე ისინი ესაუბრებიან ახალგაზრდებს თავიანთი მუშაობის გამოცდილების შესახებ.

ტექნიკური კაბინეტის ხელმძღვანელობით ქარხანაში ჩამოყალიბებულია მოწინავე გამოცდილების ერთთვიანი 14 სკოლა, რომლებიც აერთიანებენ 86 ახალგაზრდა მუშას. ასეთ სკოლებს ხელმძღვანელობენ ცნობილი ხარატი ი. ჭუმბურაძე, ზეინკალი ა. კაპანაძე, დურგალი ა. ბორისენკო, მოქაფი ს. ჩევიაკოვი და სხვები.

წრეებში გაერთიანებული მუშებისათვის კაბინეტში ეწყობა სამეცნიერო-პოპულარული, ტექნიკური, დოკუმენტალური ფილმების დემონსტრირება. აქ უკვე უჩვენეს სურათები „ერთ დეპოში“, „რკინიგზის ელექტროფიკაცია“, „ორთქლმავლის რეგულატორული მოწყობილობა“ და სხვ. სულ წელს კაბინეტში გაიმართა 40-ზე მეტი კინოსეანსი, რომლებსაც 3.000-ზე მეტი მუშა დაესწრო. კაბინეტი შეეფობას უწევს მე-4 საშუალო სკოლას, სადაც მოაწყო ტექნიკური წრეები. მოსწავლეებს უკითხავენ ლექციებს, უჩვენებენ კინოსურათებს. ასეთსავე დახმარებას კაბინეტი უწევს მუშა-ახალგაზრდობის მე-9 საშუალო სკოლას.

საყურადღებო „წვრილმანები“

1. დაპირება და სინამდვილე

გულს ახარებს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ახალი მშენებლობანი, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინები, ხარაჩოებში ჩასმული კორპუსები, ბაღები, გაზონები...

დღითიდღე იზრდება და ლამაზდება თბილისი.

ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ძველ ნაგებობათა მოვლა-პატრონობას. ქალაქის მთელ რიგ რაიონებში საბინაო ფონდს თვალსაჩინოვით უფრთხილდებიან. მაგრამ, სამწუხაროდ, ხდება პირიქითაც.

ამას წინათ, ერთ წვიმიან დღეს, დედაქალაქის ცენტრში, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო სობჭოს აღმასკომის წინ, ლენინის მოედანზე № 4 სახლის ეზოს შესასვლელთან მოგეხდა. წვიმის გადაღებას ველოდებოდა. დერეფნიდან გამოვიდა თავიდან ფეხებამდე სველი შუახნის კაცი.

— დღესაც თუ გიდავურჩი, მერე არაფერი მიჭირს, — თქვა მან აღელვებით და კომკავშირის ჩვენისაკენ მაღლა ღრუბლებს ახედა, — ნეტავ მალე მაინც გამოიდაროს...

— ეუეუნა წვიმა მოვიდა... — გაიგონა ახალგაზრდამ.

— ვისთვის ეუეუნაა, ჩემთვის კი... — ჩაიქნია ხელი.

— რაშია საქმე, რა მოხდა? — ვკითხეთ მას.

პასუხის ნაცვლად სახლში მივიპატიჟა. მეოთხე სართულიდან [illegible] თქვა მან. ღია კარიდან გარკვეული ჩანდა ოთახში როგორ ჩამოდიოდა წყალი. ჩამოწეული, ჩამონგრეული ჭერი თითქმის საწოლის თავამდე იყო დასული. თავის ბინაში, იქვე მეზობლად ჩამონგრეულ ჭერს მწუხარედ შესცქეროდა ავრეთვე მოქალაქე ე. ხაჩატუროვი.

შუახნის კაცი პენსიონერი ბ. გურგენიძე აღმოჩნდა. ის წყალში მდგომ მაგიდასთან ფრთხილად მივიდა, უჯრა გამოალო და იქიდან ქაღალდების კონა ამოიღო. ეს ქაღალდები პენსიონერ ბ. გურგენიძის განცხადებათა პასუხებია. ბევრი მსთგანი კალინინის რაიონული საბჭოს აღმასკომიდან არის მოწერილი. საწლმართველომ ს. ჯულუხიძემ ამ ბინის თვითეული დაზიანებული კუთხეც კი იცის, იცის რამდენიმე წელია, მაგრამ რატომღაც ურიგდება ამ მდგომარეობას.

საბინაო ფონდის — ოქროს ფონდისადმი გულგრილი დამოკიდებულება გრძელდება...

ჩვენ დავასახელეთ მხოლოდ ერთი ფაქტი, რომელზეც შეიძლება თქვენ: წვრილმანიათ. კიროვის, მოლოტოვის რაიონშიც ნახავთ ასეთ შემთხვევებს.

ფიქრობთ, ასეთი „წვრილმანები“ რაიონული საბჭოებისა და ქალაქის საბჭოს აღმასკომების ყურადღების ღირსია.

2. ჩამაფიქრებელი გულმავიწყობა

რა სჯობია სურნელოვანი ყვავილების თაიგულს. ახალგაზრდა თუ მოხუცი სიხარულით შედის საყვავილე მაღაზიაში, აიღებს ლამაზ თაიგულს და მიდის ლხინში.

მაგრამ საყვავილე მაღაზიაში ზოგჯერ სხვა არასასიამოვნო ამბისთვისაც მიდიან, მიცალებულის პატივსაცემად გვირგვინს აკეთებენ. თბილისის მთელ რიგ საყვავილე მაღაზიებში მიმსვლელებს კულტურულად ხვდებიან, იკითხავენ ვარვარის წესებს, ზოგან კი უხეშად ამხანჯავენ.

ამ დღეებში ბუმკინის ქუჩაზე გამწვანების ტრესტის № 4 მაღაზიაში მოქალაქენი ე. პეტროსიანი და ა. გეურქიანი შევიდნენ.

— გთხოვთ ორი გვირგვინი გაგვიმზადოთ...

— ლამაზი, ცოცხალი ყვავილებით გნებავთ, არა?

— რა თქმა უნდა!

მაღაზიის თანამშრომელს თვალები გაუბრწყინდა. — თქვენთვის ნაირ-ნაირი ყვავილები გვაქვს, ტოტხრი მომზმარებლებს.

ორ გვირგვინში ეეურქიანსა და პეტროსიანს სათანადო ქვითრის გამოუწერლად 200 მანეთი გადაახდევინეს. მაღაზიის გამგეს დ. ბაჯელიძეს და თანამშრომელს ს. მიკირტუმო

გამოხმაურება ინგლისში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილებზე დასავლეთის ქვეყნების მთავრობათა ხელმძღვანელებისადმი

ლონდონი, 10 ივნისი. (საკდესი). ლონდონის საკვირაო გაზეთებმა „ნიუს ოფ უორლდმა“, „რეინოლდს ნიუსმა“ და ზოგიერთმა სხვამ თვალსაჩინო ადგილებზე გამოაქვეყნეს ცნობები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილების შესახებ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობების ხელმძღვანელებისადმი. ამასთან გაზეთების უმრავლესობა თავს იკავებს საკუთარი კომენტარებისაგან.

გაზეთ „ობსერვერის“ დიპლომატიური მიმომხილველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნ. ა. ბულგანინის წერილები შეიცავენ „ოსტატურად ჩამოყალიბებულ წინადადებებს, რათა დასავლეთის სახელმწიფოებში მიბაძონ საბჭოთა კავშირის მაგალითს და ცალმხრივად შეამცირონ შეიარაღებული ძალების რიცხვი...“

„ეს ნაბიჯი, — განაგრძობს მიმომხილველი,— გადაიდგა ისეთ მომენტში, როდესაც ნატო-ს მომავალი სტრატეგიის საკითხი გაურკვეველ მდგომარეობაშია და როდესაც ინგლისის მთავრობა იმედით მოელის ნატო-ს ისეთ გარდაქმნას, რომ შეიძლებოდეს ახლანდელ მძიმე ვალდებულებათა შემცირება...“ მიმომხილველი აღიარებს, რომ „მძიმე ვალდებულება“ ინგლისისათვის არის „ოთხი დივიზიისა და ტაქტიკური ავიაციის შენახვა გერმანიის ტერიტორიაზე“. მიმომხილველის აზრით, „რუსეთის წერილი მორთხოვს გულდასმითს მოფიქრებას და კონსულტაციებს“.

იზვესტიის გაზეთები დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურებისადმი ნ. ა. ბულგანინის წერილების შესახებ

რომი, 11 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილებმა დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურებისადმი იტალიის საზოგადოებრიობისა და პრესის დიდი ინტერესი გამოიწვია. რომის პოლიტიკურ წრეებზე, როგორც გაზეთი „უნიტა“ აღნიშნავდა, მოახდინა „შესამჩნევი შთაბეჭდილება იმ ფაქტმა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პირადი წერილი გამოუგზავნა აგრეთვე იტალიის პრემიერს“.

„მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, — წერს გაზეთი „პაეზე“, — პირველად იღებს უშუალოდ საბჭოთა კავშირის პრემიერის წერილს. ის ფაქტი, რომ ასეთივე წერილები ერთსა და იმავე დროს გაეგზავნათ ეიზენჰაუერს, ადენაუერს, მოლესა და იდენს, მოწმობს სსრ კავშირის პატივისცემას იტალიისადმი“.

გაზეთი „უნიტა“ აღნიშნავს, რომ იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სენიისათვის გამოგზავნილმა წერილმა „შექმნა პირობები საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის პირდაპირი დიალოგისათვის პრობლემაზე, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყნის მომავალი ურთიერთობისათვის... იტალიის მთავრობამ პირველად მიიღო შესაძლებლობა თავისი აზრი გამოთქვას განიარაღების საკითხზე...“

გაზეთი „ავანტი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლონდონსა და პარიზში ბულგანინის წერილებს დიდი ინტერესით შეხვდნენ. ამასთან ერთად გაზეთი გმობს შეერთებული შტატების ზოგიერთი წრის ცდებს დააკნინოს ნ. ა. ბულგანინის წერილების მნიშვნელობა, რადგან ისინი „გამსჭვალულია გულწრფელი და კეთილგონივრული შეშფოთებით“.

ყველა ბურჟუაზიულმა გაზეთმა მოათავსა ცნობები სენიის სახელზე ნ. ა. ბულგანინის წერილის შესახებ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

პეკინი, 11 ივნისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, გუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომ კორეის დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალურმა კომისიამ დროებით გაიყვანოს თავისი საინსპექციო ჯგუფები ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ზოგიერთი გადმოსატვირთავი პუნქტიდან. განცხადებაში ნათქვამია:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობის მხარემ, უარყო რა კორეა-ჩინეთის მხარის 1956 წლის 28 მაისის წინადადება კორეის საკითხით დაინტერესებული ქვეყნების კონფერენციის მოწვევის შესახებ, 31 მაისს ცალმხრივად გამოაცხადა, რომ მან დროებით შეაჩერა კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების მთელი რიგი იმ მუხლების შესრულება, რომლებიც განსაზღვრავენ დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიისა და იმ რაიონების ნეიტრალური საინსპექციო ჯგუფების მოვალეობას, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების კონტროლს ექვემდებარებიან. გაერთიანებული ერების სარდლობის მხარემ მოითხოვა, რომ ნეიტრალურმა საინსპექციო ჯგუფებმა, რომლებიც სამხრეთ კორეის ზოგიერთ გადმოსატვირთავ პუნქტში იმყოფებიან, ერთ კვირაში დატოვონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების კონტროლს დაქვემდებარებული რაიონები.

ეს დაზავების შესახებ შეთანხმების აშკარა დარღვევაა.

— დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიისა და მისი საინსპექციო ჯგუფების ფუნქციები და უფლებანი კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების განხორციელებისადმი მეთვალყურეობის თაობაზე კორეის დაზავების შეთანხმების დიდმნიშვნელოვანი, განუყოფელი ნაწილია.

კორეაში დაზავების დამყარების შემდეგ შეერთებული შტატები ჯიუტად უშლიდნენ ხელს დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის მუშაობას, რათა გაედიდებინათ და კიდევ უფრო შეეიარაღებინათ ლსრმანელთა ჯარები. შეერთებული შტატებისა და გაერთიანებული ერების ჯარების მხარის სხვა მთავრობათა უარმა წინადადებაზე, რომ მოლაპარაკების საშუალებით განხორციელებულიყო კორეის შშვიდობიანი გაერთიანება და კორეიდან მთელი უცხოელი ჯარების გაყვანა, შეუძლებელი გახადა იმ პრაქტიკული სიძნელეების ძირეული მოწესრიგება, რომლებსაც თავის მუშაობაში ხვდებოდა დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისია. უხეშ და უპირველეს გადაწყვეტილება, რომ დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალურ კომისიას აეკრძალოს მოქმედება სამხრეთ კორეაში, გადაწყვეტილება, რომელიც თვითნებურად მიიღო ამერიკის მხარემ, ჩაშლის ახალ საფრთხეს უქმნის კორეაში დაზავების შესახებ ყველა შეთანხმებას. ჩინეთის სახალხო. რესპუბლიკის მთავრობა გადაჭრით ეწინააღმდეგება ასეთ მოქმედებას, რომლის მიზანია დაზავების შესახებ შეთანხმების ჩაშლა.

კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების უზრუნველსაყოფად და ამავე დროს იმ პრაქტიკულ სიძნელეებთან დაკავშირებით, რომლებსაც დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისია აწყდება ამერიკის მხარის დაუსაბუთებელი მუქარის გამო, კორეა-ჩინეთის მხარემ დაზავების სამხედრო კომისიის 4 ივნისის სხდომაზე შეიტანა წინადადება, რომ ორივე მხარემ მიიღოს როგორც დროებითი ღონისძიება, წინადადება, რომელიც 10 მარტს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას გაუკეთა შვეიცის მთავრობამ იმის შესახებ, რომ საინსპექციო ჯგუფები დროებით გაიწვეონ, ხოლო დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალურმა კომისიამ შეინარჩუნოს უფლება კვლავ გაგზავნოს ეს ჯგუფები გადმოტვირთვის დაწესებულ პუნქტებში. მაგრამ ამერიკის მხარემ უარყო ეს წინადადება, მიუხედავად კორეა-ჩინეთის მხარის მეცადინეობისა უზრუნველყოს კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების შესრულება. ამერიკის მხარის ასეთი პოზიცია სრულიად არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებში წარმოდგენილი სახელმწიფოების მთავრობათა განცხადებებს, რაც გაკეთებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისადმი საპასუხო წერილში იმაზე, რომ ისინი მხარს უჭერენ კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმებას და სავსებით ეთანხმებიან შეეიცისა და შვეიცარიის წინადადებას დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის შესახებ.

იმის გამო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობა დაჟინებით იცავდა თავის ცალმხრივ გადწყვეტილებას, დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალურმა კომისიამ 5 ივნისს ურჩია ორივე მხარეს დაზავების სამხედრო კომისიაში, რომ საინსპექციო ჯგუფები დროებით გაიყვანონ როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კორეის გადმოტვირთვის დაწესებული პუნქტებიდან. ამავე დროს დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალურმა კომისიამ აღნიშნა, რომ ეს გაყვანა დროებითია და რომ იგი არ ცვლის დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის იურიდიულ სტატუსს, თუ დაზავების სამხედრო კომისიის ორივე მხარე ვერ მიაღწევს ურთიერთშეთანხმებას ამის შესახებ და მანამდე, სანამ ეს შეთანხმება არ იქნება მიღწეული. ეს რეკომენდაცია, რომელიც ერთობად მიიღო დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალურმა კომისიამ, მოწმობს, რომ კომისიის მონაწილე ქვეყნები ისწრაფვიან უზრუნველყონ დაზავების შესახებ შეთანხმება, დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის ფუნქციები და უფლებები.

დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით კორეა-ჩინეთის მხარემ დაზავების სამხედრო კომისიის 7 ივნისის სხდომაზე აღნიშნა, რომ

1. დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიისა და მისი საინსპექციო ჯგუფების ფუნქციები და უფლებები დაზავების შესახებ შეთანხმების განუყოფელი ნაწილია და არ უნდა იცვლებოდეს და რომ

2. თუმცა ნეიტრალური სახელმწიფოების საინსპექციო ჯგუფები გაჰყავთ სამხრეთ და ჩრდილოეთ რაიონებიდან, მაგრამ ეს დროებითი ღონისძიებაა, და თუ დაზავების რომელიმე მხარემ წამოაყენა საკმესებთ დასაბუთებული ბრალდება, რომ მეორე მხარემ დაარღვია დაზავების შეთანხმება, დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალურ კომისიას უფლება აქვს კვლავ გაგზავნოს თავისი საინსპექციო ჯგუფები გადმოტვირთვის აღნიშნულ პუნქტებში.

კორეა-ჩინეთის მხარემ მოითხოვა მიიღონ დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის რეკომენდაცია ამ ორი შენიშვნით. მაგრამ დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიისა და კორეა-ჩინეთის მხარის ამ პოზიციის წინააღმდეგ, რომლებიც იცავენ შეთანხმებას დაზავების შესახებ, დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის ფუნქციებსა და უფლებებს, კვლავ გამოვიდა ამერიკის მხარე, რომელსაც სურს ხელი შეუშალოს ნეიტრალური კომისიის მუშაობას.

ჩინეთის მთავრობა აცხადებს: ყოვლად შეუწყნარებელია, რომ კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმება ჩაიშალოს **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობის** ცალმხრივი გადწყვეტილებით ან, რომ დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის იურიდიული დებულება **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობის** ცალმხრივი მოქმედების შედეგად. როგორც რეკომენდებული იყო დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის მიერ, სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეიდან ნეიტრალურ სახელმწიფოთა საინსპექციო ჯგუფების გაყვანა მხოლოდ დროებითი ღონისძიებაა. დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალურ კომისიას სრული უფლება აქვს კვლავ გაგზავნოს თავისი ჯგუფები გადმოტვირთვის დაწესებულ პუნქტებში. შეერთებული შტატები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების მხარის სხვა ქვეყნები მოვალენი არიან დაიცვან შეთანხმება დაზავების შესახებ და პატივი სცენ დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის ხელისუფლებასა და იურიდიულ დებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობას აუცილებლად დაგმობენ მთელი მსოფლიოს ხალხები და იგი თავს ვერ აარიდებს სრულ პასუხისმგებლობას კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების. ჩაშლისათვის.

კორეაში დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის ანგარიში

ჟენევა, 11 ივნისი. (საკდესი). ჟენევაში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა კორეაში დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის ანგარიში 1956 წლის 31 მაისამდე. ანგარიშში ნათქვამია, რომ ეს კომისია ანგარიშობს ოფიციალურ ინფორმაციას, ანგარიშობს ინფორმაციას, ანგარიშობს ინფორმაციას, ანგარიშობს